


## მემორანდუმი

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და  
საქართველოს უნივერსიტეტს შორის  
საგანმანათლებლო და პროფესიულ სფეროში თანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი

 2009 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) და საქართველოს უნივერსიტეტი (შემდგომში – უნივერსიტეტი), დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისა და სასწავლებლის კურსდამთავრებულების მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გაანალიზებისა და განზოგადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. უფლებამოსილი პირების მეშვეობით ითანამშრომლონ ამ მემორანდუმის მიზნების უზრუნველსაყოფად.
2. უნივერსიტეტი სტაჟირებისათვის შეარჩევს და სააგენტოს წარუდგენს დამამთავრებელი კურსის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.
3. სააგენტო იღებს ვალდებულებას, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და უფლებამოსილი პირების მეშვეობით უზრუნველყოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სტაჟირება და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
4. სტაჟირების კურსების ხანგრძლივობა (დადგენილი ვადა არ აღემატება 6 თვეს და არანაკლებია 1 თვისა) და მეთოდოლოგია განისაზღვრება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, სტაჟიორის სპეციალობისა და სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით.

5. სააგენტო, უნივერსიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში, გამოყოფს სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად.

6. მემორანდუმი ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთ-ერთი მხარის მიერ შეთანხმების შეწყვეტის შესახებ წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენამდე.

მემორანდუმი ფორმდება ორ ეგზემპლარად. ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, ერთი ინახება სააგენტოში, მეორე – უნივერსიტეტში.


საჯარო რეესტრის ეროვნული  
სააგენტოს თავმჯდომარე

საქართველოს უნივერსიტეტის  
რექტორი, პროფესორი

სერგო წიქარიშვილი

მანანა სანაძე

  
ბ.ა. \_\_\_\_\_  
თარიღი 10.04.09.

  
ბ.ა. \_\_\_\_\_  
თარიღი 6.04.2009